საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აზანთა

აზანთა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), ამტყელის ტბის მახლობლად. ზ. დ. 640 მ, გულრიფშიდან 30 კმ. მდ. ამტყელის ხეობაში აღმოჩნდა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის 3 დოლმენი, რ-ებიც ყველაზე მაღალია შავიზღვისპირეთის დოლმენებს შორის. შეისწავლეს ვ. სტრაჟევმა (1926) და ბ. კუფტინმა (1946). შემორჩენილია შუა საუკ. ციხის ნანგრევები. ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955; К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, [т.] 1, Тб., 1949.

ი. გაგოშიძე